MOORE STEPHENS

Moore Stephens ABC

Moore Stephens ABC, LLC
6 Marjanishvili Str. 0102, Tbilisi,
Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moorestephens.ge
www.moorestephens.com

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში-ს ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში-ს ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 14 ივნისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ 2019 წლის 27 აგვისტოს წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მიხეილ აბაიაძე

27 აგვისტო 2019 წელი

საქართველო, თბილისი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: *SARAS-F-320544*
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: *SARAS-A-865011*

Moore Stephens ABC is a limited liability company registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Stephens International Limited- a global network of independent audit and consulting firms.

THE GUIVY ZALDASTANISHVILI AMERICAN ACADEMY IN TBILISI
გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

7a L. Kvachadze st.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (995)322-227889
Fax: (995)322-227441
www.gzaat.ge
E-mail: info@aat.ge

ლ. კვაჭაძის ქ.7ა
თბილისი 0186
ტელ: (995)322-227889
ფაქსი: (995)322-227441
www.gzaat.ge
ელ-ფოსტა: info@aat.ge

დირექტორის წერილი

2018-2019 სასწავლო წელი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი სკოლის განვითარებისთვის. მერვე კლასის საპილოტე პროგრამის წარმატებით განხორციელებამ სკოლას საშუალება მისცა 4-წლიანი სასწავლო პროგრამიდან 5-წლიან პროგრამაზე გადასულიყო. ამრიგად სკოლა გახდა ხუთწლიანი, 8-12 კლასების ჩათვლით. სკოლაში ჩარიცხვის პროცედურა მე-9 კლასის ნაცვლად იწყება მე-8 კლასიდან.

მერვე კლასის დამატებით, მოსწავლეთა საერთო რაოდენობა გახდა 370. ამით სკოლამ მიაღწია თავის სრულ მაქსიმალურ მწარმოებლურობას.

ეს ცვლილება, უდავოდ, უდიდეს გავლენას იქონიებს სკოლის მომავალზე. მერვე კლასის დამატებით სკოლა მნიშვნელოვნად გააუმჯობა თავისი მოსწავლეების მომზადების დონე, და შესაბამისად, მათ შანსები წარმატებულნი იყონ მთელი იმ დროის მანძილზე, რასაც სკოლაში გაატარებენ. გარდა ამისა, მოსწავლეთა საერთო რაოდენობის გაზრდა უფრო სტაბილურს ხდის სკოლის ფინანსურ მდგომარეობას და მის უნარს უზრუნველყოს სკოლის განვითარება ახლო და შორეულ პერსპექტივაში.

რაღა თქმა უნდა, ეს პროგრესი შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოების მხრიდან მზარდი მხარდაჭერის გარეშე: სკოლაში მსურველთა რაოდენობის ზრდის სტაბილურმა ტენდენციამ სკოლას კიდევ უფრო მეტი ოპტიმიზმი და მომავლის რწმენა შესძინა.

2018 წელს სკოლის ფინანსური სტაბილურობა გაძლიერდა, რაც შესაძლებლობას გვაძლევს დავგეგმოთ სკოლის მომავალი განვითარება.

2018 წელს ახალი აუდიტორიის მშენებლობის დასაწყებად განხილული იქნა რიგი არქიტექტურული კომპანიების შემოთავაზები, შერჩეული იქნა ოპტიმალური შემოთავაზება და დაიწყო პროექტის მომზადების სამუშაოები.

გრძელდება სკოლის ფინანსური შეღავათების პროგრამასთან დაკავშირებული საგადასახადო დავა. შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭომ არ დააკმაყოფილა სკოლის სარჩელი, რის შემდგომაც საქმე განსახილველად გადაეცა ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოს.

სკოლა კვლავაც განაგრძობს სვლას სასწავლო პროცესში მოსწავლეების განსხვავებული ინტერესებისა და მოთხოვნილებების შესწავლისა და გათვალისწინების მიმართულებით, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს სკოლიდან ბავშვების განთესვის შემთხვევები. ის, რომ ამ შედეგებს დისციპლინარული და აკადემიური ხასიათის თუნდაც ყველაზე მცირე დათმობის გარეშე მივაღწიეთ, დამსახურებული სიამაყის საფუძველს გვაძლევს, და ამ სიამაყის გრძნობას, დარწმუნებული ვარ, თანაბრად იზიარებენ ჩვენი მოსწავლეები, მათი მშობლები, პედაგოგები და სკოლის პერსონალი.

გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

გივი ზალდასტანიშვილის ამერიკული აკადემია თბილისში 2001 წელს დაარსდა. მის სათავეებთან იდგნენ გივი ზალდასტანიშვილი, ქართველი ბიზნესმენი, რომელმაც თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაატარა და დონალდ თომასი, ამერიკელი პედაგოგი, რომელსაც ბოსტონის (მასაჩუსეტსი) საჯარო და კერძო სკოლებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

სკოლა, რომლის შესაქმენელადაც აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა 1 მლნ დოლარის ოდენობის გრანტი გამოყო, ჩაფიქრებული იყო როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც სამოდელო სკოლის როლი უნდა შეესრულებინა საქართველოს განათლების სისტემის რეფორმირების პროცესში - პროცესში, რომელიც საბჭოთადროინდელი გეგმიური ეკონიმიკიდან დემოკრატიულ, საბაზრო ეკონიმიკაზე გადასვლის კონტექსტში ხორციელდებოდა. განთლებისთვის ეს ნიშნავდა სწავლების ხისტი, რუტინული მეთოდების ჩანაცვლებას კრიტიკულ ანალიზსა და შემოქმედებით აზროვნებაზე ორიენტირებული ინტერაქტიური სწავლების მეთოდებით.

ამ მიზნით სკოლის დამფუძნებელ მასწავლებელთა ჯგუფი მივლინებულ იქნა აშშ-ში, სადაც მათ სამაგისტრო პროგრამები გაიარეს ჰარვარდის უნივერსიტეტსა და სიმონსის კოლეჯში და საქართველოში დაბრუნების შემდეგ სკოლის მთავარ დასაყრდენად იქცნენ. აკადემიის მასწავლებლები სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიას არა მარტო საკუთარ კლასებში იყენებენ, არამედ პროფესიული ზრდის ხელშემწყობი სხვადასხვა პროგრამის გზით საქართველოს სხვა მასწავლებლებსაც უზიარებენ.

აკადემიის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ სწავლას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც - მსოფლიოს ისეთ წამყვან უნივერსიტეტებში, როგორიცაა ჰარვარდი, ვესტ-პოინტი, მიდლბერი, ულიამსი, ვორჩესტერის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ბარდი, ბოკონის ბიზნეს სკოლა, სენტ-ენდრიუსი და მრავალი სხვა.

აკადემიაში საგანგებო ყურადღება ექცევა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესწავლასა და მისადმი სიყვარულითა და პატივისცემით გამსჭვალული ადამიანების აღზრდას. ეს მიდგომა ისტორიის სამწლიანი და ქართული ენისა და ლიტერატურის ოთხწლიანი პროგრამების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ფორმალური აკადემიური პროგრამის პარალელურად, აკადემიაში რეგულარულად ტარდება მოწვეული სტუმრების ლექციები საქართველოს წარსულსა და თანამედროვეობასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე.

არსებობის მანძილზე აკადემიამ უდაოდ დაიმკვიდრა უმაღლესი კლასის სკოლის სახელი, რასაც მისი მოსწავლეები აკადემიის კედლებში ბეჯითი სწავლით, კურსდამთავრებულები კი, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში მიღწეული წარმატებებით განამტკიცებენ.

აკადემიის მისიაა აღზარდოს მცოდნე, სხვათა მიმართ თანაგრძნობით გამსჭვალული ადამიანები, რომელთაც უყვართ სამშობლო და ამავე დროს მსოფლიოს პასუხისმგებელი მოქალაქენი არიან; ადამიანები, რომელთაც სჯერათ, რომ ეროვნული, თუ ის ჭეშმარიტად ღირებულია, მსოფლიოსთვისაც ღირებული უნდა იყოს.

აკადემიის კურსდამთავრებულები უწყვეტ სწავლასა და განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანები არიან; ისინი საუკეთესოდ არიან მომზადებული როგორც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლისთვის, ისე შემდგომი წარმატებული ცხოვრებისა და პროფესიული მოღვაწეობისთვის.

- ჩვენ გვჯერა, რომ სასწავლო პროცესი ინტერაქტიური, მოსწავლეზე ორიენტირებული უნდა იყოს და მის მიზანს კრიტიკული აზროვნების, პრობლემათა გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარება უნდა წარმოადგენდეს.

- ჩვენ გვჯერა, რომ სკოლამ უნდა აღზარდოს ჯანსაღი ღირებულებების მატარებელი, გონიერი, მრავალმხრივ განვითარებული ადამიანები, რომელთათვისაც განათლება საკუთარი თავის შეცნობის, სამყაროს შეცნობისა და მისი გაუმჯობესების საშუალებაა.

- ჩვენ გვჯერა, რომ ქართული კულტურის ცოდნა და დაფასება ჩვენი პროგრამისა და სკოლის ეთოსის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

- ჩვენ გვჯერა, რომ მასწავლებელი და მთლიანად სასკოლო საზოგადოება, როგორც ერთიანი სასწავლო გარემო, უდიდესი მნიშვნელობის მქონე ფაქტორებია.

- ჩვენ გვჯერა, რომ სკოლის მისიის განხორციელება საუკეთესო რესურსების მობილიზებას მოითხოვს (უმაღლესი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, უახლესი ტექნოლოგიების, საგანმანათლებლო ხასიათის კვლევებისა და სხვ.)

აკადემიის ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენდა და წარმოადგენს რწმენა, რომ სკოლის ხარისხი უპირველესად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურნი არიან მისი მასწავლებლები. ამიტომაც, აკადემიამ იმთავითვე, ძირითადი ყურადღება სწორედ მასწავლებლთა მომზადებაზე გადაიტანა. ყოველ წელს აკადემია მასწავლებლების ახალ ჯგუფს ამზადებდა, რაც ითვალისწინებდა სტაჟირებას ფილიპსის ექსეტერის აკადემიის საზაფხულო სკოლაში და ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამის გავლას სიმონსის კოლეჯში ან ჰარვარდის უნივერსიტეტში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მასწავლებელთა ეს ჯგუფი პასუხისმგებლობას იღებდა შესაბამის საგნებში შემდეგი წლის კურიკულუმის შემუშავებაზე.

აკადემიამ თავიდანვე აირჩია სწავლების ე.წ. ჰარკნესის გეგმა, რომელიც პირველად ფილიპსის ექსეტერის აკადემიაში დაინერგა. ყოველ საკლასო ოთახში განთავსებულია ოვალური ფორმის ჰარკნესის მაგიდა, რომელსაც თოთხმეტი მოსწავლე და მასწავლებელი უსხედან. საბჭოთა დროიდან შემორჩენილი მეთოდებისგან განსხვავებით, ჰარკნესის გეგმა ეფუძნება ინტერაქტიური სწავლების მეთოდოლოგიას, რომელიც ორიენტირებულია ისეთი მნიშვნელოვანი უნარების

გამომუშავებაზე, როგორიცაა მასალის კრიტიკული ანალიზი, საკითხის არსის სიღრმისეული წვდომა და კონსტრუქციული დისკუსია.

ჰარკნესის გეგმის გარდა, აკადემია ფართოდ იყენებს მთელ რიგ ინოვაციურ მიდგომებს, რომლებიც რამდენადმე უცხოა ტრადიციული განათლების სისტემისთვის, კერძოდ, მასწავლებლებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სპეციალურ, უნარ-ჩვევებზე ორიენტირებულ სისტემას, ტექნოლოგიის საყოველთაო და ყოვლისმომცველ გამოყენებას, საუკეთესოდ აღჭურვილ ლაბორატორიებს, ინტერდისციპლინარულ კურსს მეთორმეტეკლასელებისთვის, არჩევით კურსებს, საუნივერსიტეტო ორიენტაციის პროგრამას და სხვ.

სკოლის ფუნქციონირების ყველა ასპექტის შესწავლის საფუძველზე 2014-2015 სასწავლო წელს შემუშავებულ იქნა განვითარების გეგმა, რომლის კონკრეტული მიმართულებებიც სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა.

ძლიერი მხარეები:

1. აკადემიაში ხანგრძლივი დროის მანძილზე მომუშავე კვალიფიკაციური, მცოდნე მასწავლებლები მყარ საფუძველს უქმნიან სკოლის უწყვეტ და სტაბილურ განვითარებას.

2. მასწავლებლების მიერ სრულად გაზიარებული მეთოდოლოგია, რომელიც ზოგადად, ინტერაქტიური სწავლების პრინციპებსა და კონკრეტულად, „ჰარკნესის მაგიდის“ მეთოდებს ემყარება, სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

3. სკოლის ძლიერი სასწავლო პროგრამა მოსწავლეებს მაღალ აკადემიურ მოთხოვნებს უყენებს.

4. სკოლას მაღალი მოლოდინები აქვს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებასა და დისციპლინასთან დაკავშირებით.

5. კურსდამთავრებულთა უნივერსიტეტებში ჩარიცხვის მონაცემებით სკოლა უდაოდ ლიდერობს საქართველოში.

6. სკოლის ახალი მოსწავლეები მაღალი აკადემიური მომზადებით გამოირჩევიან.

7. სკოლის ფინანსური მდგომარეობა და ბიუჯეტის დაგეგმვის, ხარჯვისა და განვითარების პრინციპები მყარი და სტაბილურია.

სუსტი მხარეები

1. ზოგიერთ სასკოლო ფუნქციის (მასალების ორგანიზება და დაარქივება, დასწრების აღრიცხვას, მშობლებთან კომუნიკაციას, აკადემიურ მხარდაჭერას და სხვ.) არასაკმარისი სისტემატიურობით შესრულება.

2. მასწავლებლების სასურველზე მაღალი აკადემიური დატვირთვა (5 კლასი; 65-70 მოსწავლე).

3. სკოლის გარეთ განსახორციელებელი პროგრამების ინტენსივობის დაქვეითება. შეინიშნება მნიშვნელოვანი სხვაობა მასწავლებელთა ხელფასების დონეებს შორის.

4. მატერიალური ბაზის არასაკმარისი გამოყენება.

5. წინააღმდეგობები გადაწყვეტილებების მიღების პროცესთან დაკავშირებით. დაარსების დღიდან სკოლა ხელმძღვანელობდა პრინციპით, რომ მასწავლებლები ჩართული უნდა იყონ ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს მიზანი შედარებით ადვილი მისაღწევი იყო სკოლის არსებობის პირველ წლებში, მცირერიცხოვანი პერსონალის პირობებში. მაგრამ, მასწავლებლთა და სკოლის სხვა თანამშრომელთა რიცხვის ზრდასთან ერთად ამან ერთგვარი დაძაბულობა შექმნა. სკოლას, რომელიც თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე დიდ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა, ეფექტური მართვისთვის გაცილებით უფრო რთული და კომპლექსური ამოცანების გადაწყვეტა უხდებოდა.

განვითარების გეგმის ძირითადი მიმართულებები

1. მასწავლებლებთან შეთანხმებით აკადემიამ შეიმუშავა პროცედურათა საგანგებო სისტემა. ყველა ეს პროცედურა დეტალურად განიხილება, მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები და მასწავლებლებს გაეწევათ საჭირო კონსულტაციები პროცედურების გატარებასთან დაკავშირებით. აკადემიამ შეიმუშავა შესაბამისი პროცედურები დასწრების აღრიცხვის, მშობლებთან კომუნიკაციის, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელთა ინფორმირების, აკადემიური მხარდაჭერის ღონისძიებებისა და სხვა ფუნქციების განსახორციელებლად.

2. 2016 წელს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განახლების მოთხოვნა სკოლამ გამოიყენა საშუალებად, სრულად და საფუძვლიანად მოეწესრიგებინა სკოლის დოკუმენტბრუნვა.

3. აკადემია გადავიდა სისტემაზე, რომელმაც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საშუალება მისცა მასწავლებლებს ასწავლონ მხოლოდ 4 კლასს, ჯამში 55-58 მოსწავლის შემადგენლობით. მეხუთე კლასის სწავლების სანაცვლოდ, თითოეული მასწავლებელი ირჩევს პროფესიული/კარიერული განვითარების პროექტს (მენტორობა, კურიკულუმის შემუშავება, აკადემიის გარეთ განსახორციელებელი პროგრამები და სხვ.).

4. აკადემია მნიშვნელოვნად აძლიერებს მუშაობას საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით. ამჯამად, აკადემია შეიმუშავებს ფართომასშტაბიან პროგრამებს მასწავლებელთა ტრენინგების, მენტორობის, ონლაინ სწავლების, მოზრდილთა განათლებისა და სხვა მიმართულებებით.

5. 2015-2016 სასწავლო წელს მასწავლებელთა ხელფასები გათანაბრდა და დაინერგა შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა, რომელიც მასწავლებელთა აკადემიაში მუშაობის სტაჟს ეფუძნება.

6. 2014-2015 წლიდან აკადემიამ გაზარდა მიღება. მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 2015 წლის სექტემბრისთვის 280-285-მდე გაიზარდა. 2016-2017 სასწავლო წლის განმავლობაში აკადემიამ შეიმუშავა Junior High School-ის სასწავლო პროგრამა მე-8 კლასისთვის. 2017 წლის სექტემბერში აკადემიამ მიიღო მოსწავლეთა პირველი ჯგუფი (40 მოსწავლე). 2018 წლის სექტემბრიდან აკადემიას Junior High School-ის დონეზე ჰყავს 80 მოსწავლე და მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 370-ს შეადგენს. ეს რიცხვი შენარჩუნდება 2020 წლამდე, რის შემდეგაც აკადემიამ, შესაძლოა, ააშენოს ახალი ნაგებობები და კვლავ გაზარდოს მოსწავლეთა რიცხვი.

7. გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას აკადემია არსებული კომიტეტების მუშაობის გაძლიერებითა და ახალი სამუშაო ჯგუფებისა და საკონსულტაციო საბჭოების შექმნით აპირებს. ეს საშუალებას მისცემს მასწავლებლებს საკუთარი წვლილი შეიტანონ ყველა მნიშვნელოვან ინიციატივაში. აღნიშნული გაერთიანებები, რომელთა წევრობა ყველა მასწავლებელს შეეძლება, უზრუნველყოფს მასწავლებელთა ჩართულობას და ამავე დროს გაზრდილი სკოლის ოპერატიული და ეფექტური მართვის საშუალებას იძლევა.

განვითარების გეგმის განხორციელების ეტაპები

	საოპერაციო აქტივობები	**აკადემიური ნაწილი**	**სკოლისგარე პროგრამები**	**გაფართოება**
2014-2015	კლასის დონეზე ჩანაწერების წარმოების სისტემის დანერგვა. პროფესიული ვალდებულებების დადგენა და აღწერა.	ახალი არჩევითი კურსების მომზადება. მუსიკის არჩევითი კურსის პილოტირება. საზაფხულო სკოლის პილოტირება.	მოზრდილთათვის განკუთვნილი კურსების პილოტირება. ონლაინ აკადემიის პილოტირება მასწავლებელთა ეროვნული კონფერენცია.	მოსწავლეთა რაოდენობის 265-მდე გაზრდა.
2015-2016	სასკოლო საბუთების სრული ორგანიზება. მასწავლებელთა დატვირთვის	ახალი შესავალი საბუნებსმეტყველო კურსი.	ონლაინ აკადემიის განვითარება.	მოსწავლეთა რაოდენობის 285-მდე გაზრდა.

	შეცვლა: 4 კლასი + პროფესიული/კარიერული განვითარების პროექტი.	საერთო-სასკოლო არჩევითი კურსები (დრამა, მუსიკა, ხატვა) მე-12 კლასისი არჩევითი კურსების ახალი ნაკრები. საზაფხულო სკოლის დაფუძნება	მასწავლებელთა რეგიონალური სემინარი. მასწავლებელთა ეროვნული კონფერენცია მასწავლებელთა პრაქტიკუმის პილოტირება.	
2016-2017	შენობის რეკონსტრუქცია მე-8 კლასელების მისაღებად	კურიკულუმის შემუშავება Junior High School-ისთვის. მასწავლებელთა სამუშაოდ აყვანა, ტრენინგი და ახალი მოსწავლეების მიღება.	სკოლის გარე პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ერთიანი კოორდინაცია. ონლაინ აკადემიის ფინანსირება გარეშე წყაროებიდან და პროგრამის განვითარება.	მოსწავლეთა რაოდენობა უცვლელია.
2017-2018	სკოლის ახალი აუდიტორიის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება	Junior High School-ის მასწავლებელთა პირველი ჯგუფის სრულ სამუშაო განაკვეთზე აყვანა (დროის 50% -სწავლება; 50 % -ტრენინგები).	გრძელდება პროგრამების განხორციელება	40 მოსწავლის მიღება მე-8 კლასში. მოსწავლეთა საერთო რაოდენობა: 325.
2018-	აუდიტორიის მშენებლობის საპროექტო სამუშაოების	Junior High School-ის მასწავლებლები	გრძელდება პროგრამების	80 მოსწავლის მიღება Junior

2019	დაწყება.	გადაერთვნენ სრული განაკვეთით სწავლებაზე.	განხორციელება	High School-ში. მე-8 კლსელების პირველი ჯგუფი აგრძელებს სწავლას აკადემიის მე-9 კლასში. მოსწავლეთა საერთო რაოდენობა: 370.
2019-2020	სკოლის აუდიტორიის მშენებლობისთვის პროექტის მომზადება და მშენებლობის დაწყება.	Junior High School-ის პირველი ეტაპის გამოცდილების ანალიზი და შემდგომი გაფრთოების შესაძლებლობების კვლევა და შეფასება.	გრძელდება პროგრამების განხორციელება.	მოსწავლეთა რაოდენობა უცვლელია.

მოსწავლეთა გადინება:

2018-2019 სასწავლო წელი ამერიკულმა აკადემიამ 370 მოსწავლით დაიწყო. შარშანდელი სასწავლო წლისგან განსხვავებით, აკადემიის მე-8 კლასი სრული დატვირთვით ამოქმედდა და JUNIOR HIGH-მ 75 მოსწავლეს შესთავაზა განათლების მიღება.
სკოლა მხოლოდ 3-მა მოსწავლემ დატოვა და მეთერთმეტე კლასში მხოლოდ ერთი მოსწავლე მივიღეთ მისაღებ გამოცდებში გამორჩეული აკადემიური მაჩვენებლების გამო.
ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ აკადემიიდან სხვა სკოლებში გადამსვლელი მოსწავლეების რიცხვი მნიშვნელოვნად მცირდება. მაღალი აკადემიური მოსწრების გამო მოსწავლეები კლასიდან კლასში წარმატებით გადადიან, შესაბამისად, იზღუდება მაღალ კლასებში (მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასებში) ახალი მოსწავლეების მიღების შესაძლებლობა ვაკანტური ადგილების არ არსებობის გამო.

მოსწავლის სკოლიდან წასვლის სხვადასხვა მიზეზი შეგვძლია აღვწეროთ:

- სუსტი აკადემიური მოსწრება - აკადემიაში სასწავლო პერიოდი სემესტრებად არის დაყოფილი, სემესტრები კი - მეოთხედებად. შესაბამისად, წლის განმავლობაში მოსწავლე ოთხჯერ ფასდება: ორჯერ მეოთხედების მიწურულს - სავარაუდოდ, ხოლო ორჯერ სემესტრების ბოლოს - ოფიციალურად. გარდა მითითებული პერიოდებისა, ყოველი თვის დასასრულს მოსწავლე და მშობელი მიმდინარე შეფასებების შესახებ არიან ინფორმირებულები. შედეგად, აკადემიური მონაცემების/შეფასებების დინამიკა თვალნათელია, და ხარვეზების აღმოჩენაც ადვილად არის შესაძლებელი. სკოლა მოსწავლის აკადემიური სისუსტეების გამოსასწორებლად კომპლექსურად მუშაობს, მასწავლებლები აკადემიური მხარდაჭერის პროგრამაში აქტიურად არიან

ჩართულები, და თუკი მოსწავლე არსებულ ტემპს ვერ აყვება და აკადემიურ გამოწვევებს თავს ვერ გაართმევს, მას სკოლის დატოვება უწევს.


- ოჯახის საცხოვრებელი ადგილის შეცვლა - ქვეყნის გარეთ გამგზავრება, რიგ შემთხვევებში კი დამოუკიდებლად ბავშვების უცხოეთში სწავლის გასაგძლებლად წასვლა.
- მოსწავლის დისციპლინარული დარღვევა - სკოლა შინაგანაწესით დადგენილი წესებით ხელმძღვანელობს, დისციპლინარული დაღვევისას ბავშვის ოჯახს საქმის კურსში აყენებს და ხარვეზის გამოსასწორებლად ინტენსიურად ზრუნავს. განსაკუთრებულ შემთხვევაში დისციპლინარული კონტრაქტი დგება - შეთანხმება, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი ყველა პირობა. კონტრაქტის/შეთანხმების შეუსრულებლობისას მოსწავლე სკოლას ტოვებს. დისციპლინარული დარღვევების გამო სკოლის დატოვებამ მნიშვნელოვნად იკლო, რაც ამ მიმართულებით გაწეული შრომისა და ჩადებული ენერგიის გამოძახილია.

ბრენდი და რეპუტაცია:

ბრენდის სიძლიერისა და რეპუტაციის დასადგენად ისეთ კრიტერიუმებს გამოვიყენებთ, რომლებიც კარგი სკოლის მახასიათებლებს განსაზღვრავს:

- უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის ნდობა, რომელიც 2010 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ოქროს მედლის სახით მოგვანიჭა და საუკეთესო კერძო სკოლად გვაღიარა; ხოლო 2011 წელს კი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა სკოლას აკრედიტაცია მიანიჭა, რის შედეგადაც ამერიკული აკადემიის მოსწავლეები გათავისუფლდნენ სავალდებულო საატესტატო გამოცდების ჩაბარებისგან. აკრედიტაციის განახლების პროცესი ამერიკულმა აკადემიამ 2016 წლის მაისში წარმატებით გაიარა. გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია ერთადერთი აკრედიტირებული სკოლაა საქართველოში.

- შემდეგი კრიტერიუმი ამერიკულ აკადემიაში ჩარიცხვის მსურველთა მზარდი რაოდენობაა. ყოველწლიურად ამერიკულ აკადემიაში საშუალოდ 200 მოსწავლე გამოხატავს ინტერესს და მისაღებ კონკურსში იღებს მონაწილეობას. აკადემიაში ჩაბარების მსურველთა ბოლო ოთხი წლის მონაცემები ასე გამოიყურება:




დიაგრამა 1

- 2015-2016 სასწავლო წლის მონაცემებით, ამერიკულ აკადემიაში მისაღებ გამოცდებს 118 მოსწავლე აბარებდა, საიდანაც მხოლოდ 75 ჩაირიცხა და განაგრძო აკადემიაში სწავლა;
- 2016-2017 სწ. მისაღებ გამოცდებს აბარებდა180 მოსწავლე, ჩაირიცხა - 80 მოსწავლე;
- 2017-2018 სწ. მისაღებ გამოცდებს აბარებდა 252 მოსწავლე, ჩაირიცხა - 115;
- 2018-2019 სწ. 258 მოსწავლე აბარებდა, ჩაირიცხა მხოლოდ 116.

- 2019-2020 სწ. ამერიკულ აკადემიაში წელს სულ 200-მდე მოსწავლე აბარებდა; 146 მოსწავლე მერვე კლასში, ხოლო 54 მაღალ კლასებში. შესაბამისად, მერვე კლასში 75 მოსწავლე ჩაირიცხა, მე-10 კლასში სამი, მეთერთმეტეში კი მხოლოდ ერთი მოსწავლე.

- ვფიქრობთ, საყურადღებოა ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორიცაა ამერიკულ აკადემიაში გადმოსვლის მსურველი და ჩარიცხული მოსწავლეების ყოფილი სკოლების სტატისტიკა. ეს მონაცემები ასევე ამყარებს ამერიკული აკადემიის ბრენდის სიძლიერესა და რეპუტაციას, რადგან მსურველთა უმეტესი ნაწილი საქართველოს საუკეთესო კერძო და საჯარო სკოლებში სწავლობს, მიუხედავად ამისა, ისინი გარკვეულ ეტაპზე, იღებენ გადაწყვეტილებას სწავლა ამერიკულ აკადემიაში გააგრძელონ. იხ. დიაგრამა 2-ი.



დიაგრამა 2


- შემდეგი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, ამერიკული აკადემიის კურსდამთავრებულთა ჩარიცხვებია როგორც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, ისე მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. ამერიკული აკადემიის კურსდამთავრებულთა 99% უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებს სწავლას, ხოლო მათი 90% სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ მიემგზავრება, სადაც ყოველ წელს სტიპენდიების სახით 2-3 მილიონ დოლარზე მეტ დაფინანსებას იღებენ. ყოველწლიურად, აკადემიის კურსდამთავრებულები 167-ზე მეტ ევროპისა თუ ამერიკის უნივერსიტეტებში ირიცხებიან, რომელთა შორისაა ჰარვარდის, პრინსტონის, იუპენის, კოლუმბიის, ბრაუნის,

კორნელის უნივერსიტეტები, ასევე აშშ-ს საზღვაო და საჰაერო სამხედრო აკადემიები, ლონდონის ეკონომიკის სკოლა, ბაბსონისა და სმიტის კოლეჯები და სხვა.

მომხმარებლები:

ამერიკული აკადემიის მომხმარებლები საშუალო და მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებია. თუმცა, ამერიკული აკადემია იღებს ვალდებულებას და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის განათლების მიცემას ნიჭიერი და იმედისმომცემი ბავშვებისთვის, მიუხედავად მათი ფინანსური შესაძლებლობებისა.

აქედან გამომდინარე, ყოველ წელს სკოლა შესაძლებლობას აძლევს ფინანსური პრობლემის მქონე და აკადემიურად წარჩინებულ მოსწავლეებს განსხვავებული სწავლის გადასახადით ისარგებლონ. განსხვავებული სწავლის გადასახადის ოდენობას სასკოლო კომიტეტი მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან ერთად განსაზღვრავს. იხ. ბოლო ათი წლის მონაცემები (დიაგრამა 3-ი).



დიაგრამა 3

დასაქმებულები:

ამერიკულ აკადემიაში სულ 80 ადამიანი მუშაობს. მათ შორის 46 მასწავლებელია და 10 ადმინისტრაციის წევრი. მასწავლებელთა და ადმინისტრაციის წევრთა უმრავლესობა (95%) ფლობს მაგისტრისა და დოქტორის აკადემიურ ხარისხებს. მასწავლებლების ძირითადმა ბირთვმა ჰარვარდის უნივერსიტეტსა და სიმონსის კოლეჯში გაიარა გადამზადება ერთწლიან პროგრამებზე.

ინტელექტუალური საკუთრება:

ამერიკული აკადემიის პედაგოგების უმრავლესობა არაერთი სახელმძღვანელოს, სამეცნიერო ნაშრომისა თუ პუბლიკაციის ავტორია, მათი ნაწილი ასევე მთარგმნელობით საქმიანობას ეწევა.

ამერიკული აკადემიის მასწავლებლების მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებით მოსწავლეები სხვადასხვა საგნებს სწავლობენ.

ამერიკულმა აკადემიამ რამოდენიმე პროგრამას ჩაუყარა საფუძველი - ესენია შაბათის სკოლა, ზაფხულისა და შაბათის აკადემია.

შაბათის სკოლა მრავალი წელია წარმატებით მიმდინარეობს და ემსახურება დაბალი სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ბავშვებს. აღნიშნული პროგრამის მიზანია გამოავლინოს ნიჭიერი მოსწავლეები და შესაძლებლობა მისცეს მათ ამერიკულ აკადემიაში გააგრძელონ სწავლა.

ნაწილობრივ იგივე მიზანს ემსახურება 2008 წელს ამერიკული აკადემიის კურსდამთავრებულების მიერ დაარსებული ზაფხულის აკადემია. საქართველოში ეს ახალი ფორმის სწავლება მათი მცდელობითა და ძალისხმევით დამკვიდრდა და განვითარდა 2008 წლის პირველი სესიიდან ვიდრე 2014 წლამდე, როდესაც პროგრამის სახეცვლილება განხორციელდა. აღნიშნული პროგრამა დღესაც წარმატებით ხორციელდება და ხელს უწყობს მოსწავლეებს ამერიკული აკადემიის მისაღები გამოცდები დასძლიონ.

შაბათის აკადემია მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობს და ყველა მსურველს კომბინირებულ პროგრამას სთავაზობს ლისის ტბის ეკოლოგიურად სუფთა გარემოში. მოსწავლეები ცოდნას იმაღლებენ გარკვეულ დისციპლინებში, იძენენ მეგობრებს, ერთვებიან სხვადასხვა სპორტულ და ინტელექტუალურ აქტივობებში. კურსებს უძღვებიან ამერიკული აკადემიისა და მოწვეული გამოცდილი პედაგოგები, მასწავლებლების ასისტენტებად და აქტივობების ლიდერებად კი, ამერიკული აკადემიის წარჩინებული მოსწავლეები მუშაობენ.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ელექტრონული კურსები

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში ამერიკულმა აკადემიამ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ელექტრონული კურსების შესაქმნელად ტენდერი მოიგო.
აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ამერიკული აკადემიის უპირველესი მიზანია ქართველი მასწავლებლებისთვის შექმნას ხარისხიანი სატრენინგო რესურსები, რომლებიც ელექტრონულად, ინტერნეტ სივრცეში პორტალის სახით განთავსდება. აღნიშნული პორტალი სამართავად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს გადაეცემა, რომელიც ელექტრონული სწავლების განვითარებას შეუწყობს ხელს საქართველოში.

პირველი გლობალური გუნდი (First Global Team Georgia)

First Global Team Georgia საქართველოს რობოტიკის გუნდია, რომელიც ამერიკული აკადემიის მოსწავლეებისგან შედგება, მათი მენტორი ასევე აკადემიის ფიზიკის მასწავლებელია. აღნიშნულმა გუნდმა შექმნა რობოტი „ვანო“ და მექსიკაში რობოტიკის საერთაშორისო კონკურსზე გაემგზავრა 2018 წ. ივლისში.
ჩვენმა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა კონკურსზე, რაც დიდ წარმატებადაა მიჩნეული, რადგანაც სულ 175 ქვეყნის წამომადგენელი მონაწილეობდა აღნიშნულ რობოტიქსის ოლიმპიადაში.

დამატებითი ინფორმაცია:

- სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა:

2018 წელს სკოლამ ჩაატარა კვლევა. კვლევის სამიზნე ჯგუფი იყო ამერიკული აკადემიის მოსწავლეები. მასში მონაწილეობა მიიღო 314 მოსწავლემ. კვლევის მიზანი იყო სკოლის კლიმატის კვლევა, კერძოდ:

- სკოლის კლიმატი
- სკოლის აკადემიური პროგრამის დონე
- სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა
- ურთიერთობები მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის
- სკოლის ერთიანობის აღქმა
- სკოლის ღირებულებების დაფასება/აღიარება
- სკოლის სასწავლო სტრატეგიები
- სკოლასთან დაკავშირებული განწყობები და შეხედულებები
- მოსწავლეების სირთულეებთან გამკლავების უნარები
- სკოლის უსაფრთხოება
- სასწავლო დატვირთვა

- **ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ:**

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში ფილიალები არ გააჩნია.

- **ინფორმაცია საკუთარი აქციების შესახებ:**

კომპანიის აქციების საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,056,600 ლარს. ინვესტორების მიერ აქციის შესაძენად ნომინალურ ღირებულებაზე ზედმეტად გადახდილი ოდენობა, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 701,371 ლარს. აქციების ნომინალური ღირებულებაა 100(ასი)ლარი.სულ გამოშვებულია ნომინალური ღირებულების 25 000 ცალი აქცია. აქედან რეალიზებულია 10 566 ცალი აქცია. რაც გაცხადებული კაპიტალის 42.26640000 %-ს შეადგენს. რეალიზებულ აქციებს მატერიალიზებული ფორმა არ აქვთ.

- **ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ:**

კომპანიის ფინანსური რისკების დაცულია. ისტორიულად საოპერაციო ფულადი ნაკადები პოზიტიურია ავანსად გადახდილი სწავლის საფასურის აკუმულირების გამო. კომპანიის სასესხო ვალდებულება უცხოურ ვალუტაშია. კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული რისკების შესამცირებლად კომპანია ახორციელებს ფულადი სახსრების ჰეჯირებას.

ანდრეს კრუზი

დირექტორი

თარიღი: 27 აგვისტო,2019

დამატებითი ინფორმაცია:

- სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა:

2018 წელს სკოლამ ჩაატარა კვლევა. კვლევის სამიზნე ჯგუფი იყო ამერიკული აკადემიის მოსწავლეები. მასში მონაწილეობა მიიღო 314 მოსწავლემ. კვლევის მიზანი იყო სკოლის კლიმატის კვლევა, კერძოდ:

- სკოლის კლიმატი
- სკოლის აკადემიური პროგრამის დონე
- სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა
- ურთიერთობები მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის
- სკოლის ერთიანობის აღქმა
- სკოლის ღირებულებების დაფასება/აღიარება
- სკოლის სასწავლო სტრატეგიები
- სკოლასთან დაკავშირებული განწყობები და შეხედულებები
- მოსწავლეების სირთულეებთან გამკლავების უნარები
- სკოლის უსაფრთხოება
- სასწავლო დატვირთვა

- **ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ:**

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია ბილისში ფილიალები არ გააჩნია.

- **ინფორმაცია საკუთარი აქციების შესახებ:**

კომპანიის აქციების საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,056,600 ლარს. ინვესტორების მიერ აქციის შესაძენად ნომინალურ ღირებულებაზე ზედმეტად გადახდილი ოდენობა, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 701,371 ლარს. აქციების ნომინალური ღირებულებაა 100(ასი)ლარი.სულ გამოშვებულია ნომინალური ღირებულების 25 000 ცალი აქცია. აქედან რეალიზებულია 10 566 ცალი აქცია. რაც გაცხადებული კაპიტალის 42.26640000 %-ს შეადგენს. რეალიზებულ აქციებს მატერიალიზებული ფორმა არ აქვთ.

- **ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ:**

კომპანიის ფინანსური რისკების დაცულია. ისტორიულად საოპერაციო ფულადი ნაკადები პოზიტიურია ავანსად გადახდილი სწავლის საფასურის აკუმულირების გამო. კომპანიის სასესხო ვალდებულება უცხოურ ვალუტაშია. კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული რისკების შესამცირებლად კომპანია ახორციელებს ფულადი სახსრების ჰეჯირებას.

ანდრეს კრუზი

დირექტორი

თარიღი: 27 აგვისტო,2019

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით

და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარებში

სარჩევი

	გვერდი
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	2
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1	ზოგადი ინფორმაცია	10
2	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
3	კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	18
4	ფული და ფულის ეკვივალენტები	20
5	ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	20
6	სესხები	21
7	სააქციო კაპიტალი	21
8	შემოსავლები	23
9	სხვა საოპერაციო შემოსავლები	23
10	სხვა საოპერაციო ხარჯები	23
11	მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები, პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები	24
12	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და ნაშთები	29
13	საწარმოს უწყვეტობის განხილვა	29
14	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	29

ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდი: 29

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს "გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში"-ს (შემდგომში "კომპანია") ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა, სხვა შეუსაბამობები და დარღვევები.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

ანდრეს კრუზი
დირექტორი

ნანა მიხელიძე
ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 29 მაისი, 2019

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს "გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში"-ს (შემდგომში "კომპანია") ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა, სხვა შეუსაბამობები და დარღვევები.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

ანდრეს კრუზი
დირექტორი

ნანა მიხელიძე
ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 29 მაისი, 2019

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში-ს მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს "გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში"-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - ''აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე'' - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

მნიშვნელოვანი გარემოება

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 11.4 და 11.5 შენიშვნებზე, სადაც აღწერილია კომპანიის სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები 2018 წლის 31 დეკემბრისათვის. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

• ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

• შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

• ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 29 მაისი, 2019

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

• ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

• შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

• ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული საბუღალტრო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 29 მაისი, 2019
თბილისი, საქართველო

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარებში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	3,194,264	2,545,881
დებიტორული დავალიანება		99,625	66,504
გადახდილი ავანსები		55,036	38,045
სულ მიმდინარე აქტივები		**3,348,925**	**2,650,430**
ძირითადი საშუალებები	5	7,968,180	8,271,049
არამატერიალური აქტივები	5	48,804	54,060
სულ გრძელვადიანი აქტივები		**8,016,984**	**8,325,109**
სულ აქტივები		**11,365,909**	**10,975,539**
სავაჭრო ვალდებულებები		17,409	11,402
მიღებული ავანსები		3,330,210	3,125,645
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	6	1,379,027	1,614,551
საგადასახადო ვალდებულება		72,773	83,104
საგადასახადო ანარიცხები		365,265	365,265
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**5,164,684**	**5,199,966**
გრძელვადიანი სესხები	6	2,818,830	3,673,994
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**2,818,830**	**3,673,994**
სააქციო კაპიტალი	7	1,056,600	1,056,600
დამატებით შეტანილი კაპიტალი	7	701,371	701,371
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		343,608	(534,556)
მიმდინარე პერიოდის მოგება / (ზარალი)		1,280,816	878,164
სულ კაპიტალი		**3,382,395**	**2,101,579**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**11,365,909**	**10,975,539**

ანდრეს კრუზი
დირექტორი

ნანა მიხელიძე
ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 29 მაისი, 2019

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარებში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	3,194,264	2,545,881
დებიტორული დავალიანება		99,625	66,504
გადახდილი ავანსები		55,036	38,045
სულ მიმდინარე აქტივები		**3,348,925**	**2,650,430**
ძირითადი საშუალებები	5	7,968,180	8,271,049
არამატერიალური აქტივები	5	48,804	54,060
სულ გრძელვადიანი აქტივები		**8,016,984**	**8,325,109**
სულ აქტივები		**11,365,909**	**10,975,539**
სავაჭრო ვალდებულებები		17,409	11,402
მიღებული ავანსები		3,330,210	3,125,645
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	6	1,379,027	1,614,551
საგადასახადო ვალდებულება		72,773	83,104
საგადასახადო ანარიცხები		365,265	365,265
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**5,164,684**	**5,199,966**
გრძელვადიანი სესხები	6	2,818,830	3,673,994
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**2,818,830**	**3,673,994**
სააქციო კაპიტალი	7	1,056,600	1,056,600
დამატებით შეტანილი კაპიტალი	7	701,371	701,371
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		343,608	(534,556)
მიმდინარე პერიოდის მოგება / (ზარალი)		1,280,816	878,164
სულ კაპიტალი		**3,382,395**	**2,101,579**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**11,365,909**	**10,975,539**

ანდრეს კრუზი
დირექტორი

ნანა მიხელიძე
ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 29 მაისი, 2019

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარებში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავლები გაწეული მომსახურებებიდან	**8**	6,388,833	5,488,816
საერთო მოგება		**6,388,833**	**5,488,816**
სხვა საოპერაციო შემოსავალები		168,021	138,762
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	**9**	(3,472,867)	(3,151,332)
ცვეთა და ამორტიზაცია	**5**	(461,219)	(504,786)
სხვა საოპერაციო ხარჯები	**10**	(970,439)	(579,903)
საოპერაციო მოგება		**1,652,329**	**1,391,557**
საპროცენტო ხარჯი	**6**	(378,903)	(525,547)
კურსთაშორისი სხვაობა		194	156,160
ცვლილება საგადასახადო ანარიცხებში		-	(102,337)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		49,773	52,567
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(42,577)	(94,237)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		**1,280,816**	**878,164**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		**1,280,816**	**878,164**
სხვა სრული შემოსავლები		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები		**1,280,816**	**878,164**

ანდრეს კრუზი
დირექტორი

ნანა მიხელიძე
ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 29 მაისი, 2019

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარებში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავლები გაწეული მომსახურებებიდან	8	6,388,833	5,488,816
საერთო მოგება		**6,388,833**	**5,488,816**
სხვა საოპერაციო შემოსავალები		168,021	138,762
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	9	(3,472,867)	(3,151,332)
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(461,219)	(504,786)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(970,439)	(579,903)
საოპერაციო მოგება		**1,652,329**	**1,391,557**
საპროცენტო ხარჯი	6	(378,903)	(525,547)
კურსთაშორისი სხვაობა		194	156,160
ცვლილება საგადასახადო ანარიცხებში		-	(102,337)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		49,773	52,567
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(42,577)	(94,237)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		**1,280,816**	**878,164**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		**1,280,816**	**878,164**
სხვა სრული შემოსავლები		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები		**1,280,816**	**878,164**

ანდრეს კრუზი
დირექტორი

ნანა მიხელიძე
ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 29 მაისი, 2019

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარებში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2018	2017
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები		6,251,517	5,708,611
შემოსავალი იჯარიდან		10,463	10,505
სხვა საოპერაციო შემოსავალი		507,405	317,901
მომსახურების გაწევისას გაღებული ხარჯები		(107,381)	(72,945)
გადახდილი ხელფასები		(2,974,348)	(2,448,844)
გადახდილი გადასახადები		(924,901)	(758,402)
დაზღვევის ხარჯი		(10,825)	(120,022)
იჯარის ხარჯი		(3,030)	(3,000)
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები		(59,619)	(10,856)
საბანკო ხარჯი		(4,760)	(2,303)
მივლინების ხარჯი		(34,165)	(14,815)
შეკეთების და შენახვის ხარჯი		(122,951)	(11,604)
წარმომადგენლობითი ხარჯები		(4,540)	(19,500)
საწვავის და ტრანსპორტირების ხარჯი		(110,765)	(84,684)
კომუნიკაციის ხარჯი		(16,163)	(12,407)
კომუნალური გადასახადების ხარჯი		(73,136)	(73,428)
რეკლამის ხარჯი		(17,916)	(35,439)
საკანცელარიო ხარჯი		(24,155)	(27,667)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(3,950)	(41,669)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**2,276,780**	**2,299,431**
ავეჯის შეძენა		(8,020)	(50,502)
აღჭურვილობის შეძენა		(48,943)	(52,721)
ბიბლიოთეკის რესურსების შეძენა		(141,488)	(86,938)
კომპიუტერული პროგრამების შეძენა		(1,548)	(2,250)
სპორტული აღჭურვილობის შეძენა		(2,513)	(7,844)
სხვა კაპიტალიზირებად საშუალებებზე გაწეული დანახ.		(3,880)	(73,827)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		**(206,392)**	**(274,082)**

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარებში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (გაგრძელება)

სესხის ძირის დაფარვა		(1,194,723)	(1,051,548)
საპროცენტო შემოსავალი		47,322	49,695
საპროცენტო ხარჯი		(382,393)	(534,023)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		**(1,529,794)**	**(1,535,876)**
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		107,789	(13,824)
წმინდა ზრდა / (კლება) ფულის და ფულის ეკვივალენტების		648,383	475,649
ფული და ფულის ეკვივალენტების პერიოდის დასაწყისში		2,545,881	2,070,233
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**4**	**3,194,264**	**2,545,881**

ანდრეს კრუზი
დირექტორი

ნანა მიხელიძე
ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 29 მაისი, 2019

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარებში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (გაგრძელება)

სესხის ძირის დაფარვა		(1,194,723)	(1,051,548)
საპროცენტო შემოსავალი		47,322	49,695
საპროცენტო ხარჯი		(382,393)	(534,023)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		**(1,529,794)**	**(1,535,876)**
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		107,789	(13,824)
წმინდა ზრდა / (კლება) ფულის და ფულის ეკვივალენტების		648,383	475,649
ფული და ფულის ეკვივალენტების პერიოდის დასაწყისში		2,545,881	2,070,233
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**4**	**3,194,264**	**2,545,881**

ანდრეს კრუზი
დირექტორი

ნანა მიხელიძე
ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 29 მაისი, 2019

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გამოცემული სააქციო კაპიტალი	აკუმ. მოგება / (ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს		**1,056,600**	**701,371**	**(534,556)**	**1,223,415**
პერიოდის წმინდა შედეგი		-	-	878,164	878,164
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს		**1,056,600**	**701,371**	**343,608**	**2,101,579**
პერიოდის წმინდა შედეგი		-	-	1,280,816	1,280,816
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**7**	**1,056,600**	**701,371**	**1,624,424**	**3,382,395**

ანდრეს კრუზი
დირექტორი

ნანა მიხელიძე
ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 29 მაისი, 2019

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გამოცემული სააქციო კაპიტალი	აკუმ. მოგება / (ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს		**1,056,600**	**701,371**	**(534,556)**	**1,223,415**
პერიოდის წმინდა შედეგი		-	-	878,164	878,164
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს		**1,056,600**	**701,371**	**343,608**	**2,101,579**
პერიოდის წმინდა შედეგი		-	-	1,280,816	1,280,816
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**7**	**1,056,600**	**701,371**	**1,624,424**	**3,382,395**

ანდრეს კრუზი
დირექტორი

ნანა მიხელიძე
ფინანსური დირექტორი

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

თარიღი: 29 მაისი, 2019

1 ზოგადი ინფორმაცია

სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში (ID: 204958000) (შემდგომში "კომპანია") დაარსდა 2001 წლის 25 იანვარს ქ. თბილისში, საქართველოში. კომპანიის დამფუძნებლები არიან მამუკა ხაზარაძე, გიორგი ბაზღაძე და გივი ზალდასტანიშვილი.

კომპანია ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას.

კომპანია დაფუძნებულ იქნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ჭავჭავაჭის გამზ. #37ა. ალტერნატიული მისამართია: თბილისი, ვაკე-საბურთალო, ლისის ტბა #01/014.

სს "გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში"-ს საბოლოო იურიდიული მფლობელები არიან პირები, რომელთაც საკუთრებაში აქვთ საერთო აქციების 5% ან მეტი პროცენტი.

ფასიანი ქაღალდების ტიპი	ბენეფიციარი	აქციების რაოდენობა	აქციების წილი
ჩვეულებრივი აქციები	ავთანდილ წერეთელი	**1,042**	**9.86%**
ჩვეულებრივი აქციები	ახალი ქართული ფონდი	**1,000**	**9.46%**
ჩვეულებრივი აქციები	სს საქართველოს ბანკი	**1,033**	**9.78%**
ჩვეულებრივი აქციები	სს თიბისი ბანკი	**1,530**	**14.48%**
ჩვეულებრივი აქციები	შპს თბილავიამშენი	**542**	**5.13%**
ჩვეულებრივი აქციები	სს ლისი ლეიქ დეველოპმენტი	**2,982**	**28.22%**
სულ		**8,129**	**76.94%**

კომპანიას ჰყავდა 81 თანამშრომელი 2018 წლის განმავლობაში (*2017:* 82 თანამშრომელი).

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 წარდგენის საფუძვლები

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების გათვალისწინებით, რომ მომავალში „კომპანია“ თავის ფუნქციონირებას განაგრძობს როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღისთვის დამფუძნებელი კომპანიის დირექტორთა საბჭოსთვის ცნობილი არ იყო ისეთი ფაქტი ან ვითარება, რომელიც მიუთითებდა რაიმე საფრთხის შესახებ, რომელიც კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას ხელს შეუშლიდა.

საანგარიშგებო პერიოდი
კომპანიის ფინანსური წლის დასაწყისი არის 1 იანვარი, ხოლო დასასრული - 31 დეკემბერი.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული მუხლები წარმოდგენილია იმ ვალუტაში, რომელშიც კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს („საოპერაციო ვალუტა“). ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს.

2.3 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRSs)

2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა, რომელთაც არ ჰქონიათ მატერიალური გავლენა კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე. თავიანთი დატვირთვით ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებებია:

ა) ***ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები***
2018 წლის პირველი იანვრიდან ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა. ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მოიცავს შესწორებულ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების სწორ კლასიფიკაციასა და გაზომვაზე. მათ შორის ფინანსური აქტივების გაუფასურების გამოანგარიშების, განახლებულ სავარაუდო საკრედიტო ზარალის მოდელს და ჰეჯირების ახალ საბუღალტრო მოთხოვნებს. ასევე მოიცავს ბასს 39-ის მიხედვით ფინანსური აქტივების აღიარება-არ აღიარების მითითებებს.

ბ) ***ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან***
ფასს 15 აყალიბებს ყოვლისმომცველ სტრუქტურას, რაც განსაზღვრავს თუ რამდენად, რა ღირებულებით და როდის უნდა აღიარდეს შემოსავალი. 2018 წლის პირველი იანვრიდან ფასს 15-მა ჩაანაცვლა შემოსავლების აღიარების არსებული პრინციპი, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები და ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტისთვის ნაკისრი საქონლისა და მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლების ახალი სტანდარტი, შემოსავლების გამჟღავნების შესახებ, წარმოადგენს გაუმჯობესებულ მითითებებს ტრანზაქციებზე, რომლებიც სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი.

ზემოთ ჩამოთვლილ ცვლილებებთან ერთად აგრეთვე აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

გ) წილობრივი დაფარვის ტრანზაქციების კლასიფიკაცია და შეფასება - ფასს 2-ის ცვლილება
დ) ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ფასს 4 სადაზღვევო კონტრაქტებში - ფასს 4-ის ცვლილება
ე) საინვესტიციო ქონების ტრანსფერები - ბასს 40-ის ცვლილება
ვ) ფაისს 22 უცხოური ვალუტის გარიგებები

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4 *სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული*

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. კომპანია გეგმავს, რომ მიიღოს ეს სტანდარტები და ინტერპრეტაციები, მათი ძალაში შესვლის მომენტიდან. მათგან სავარაუდოდ შემდეგი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მოახდენს გავლენას კომპანიის ოპერაციებზე.

ფასს 16 - იჯარა

2016 წლის იანვარში ბასს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა". ხალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარეებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ხარჯი და საამორტიზაციო ანარიცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

კომპანია აფასებს აღნიშნული ცვლილებების სავარაუდო გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.5 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაყვანილია საანგარიშგებო ვალუტაში, ტრანზაქციის მომენტისთვის არსებული კურსით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.5 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსთვის. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ისტორიული ღირებულების მქონე არაფულადი აქტივები ტრანზაქციის დღეს კონვერტირდება შესაბამისი გაცვლითი კურსის მიხედვით.

გაცვლითი კურსების სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აისახება მთლიანი შემოსავლების ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძირითადი ვალუტების კურსები საანგარიშგებო ვალუტასთან იყო შემდეგი:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
1 აშშ დოლარი =	2.6766 ლარი	2.5922 ლარი
1 ევრო =	3.0701 ლარი	3.1044 ლარი

2.6 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ბანკებში.

2.7 დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარდება მისაღები თანხების რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ მცირდება საეჭვო ვალებისათვის შექმნილი რეზერვის მოცულობით. კომპანიები საეჭვოდ მიიჩნევენ მოთხოვნებს სადაც არსებობს დასაბუთებული მოლოდინი, რომ დებიტორისაგან მისაღები თანხა ვერ იქნება სრულად მიღებული. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დებიტორული დავალიანებების ნაშთები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაანგარიშდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. როდესაც მოთხოვნების ამოღება არ ხერხდება, ხდება მათი ჩამოწერა საეჭვო მოთხოვნების ანარიცხის შემცირების გზით. ჩამოწერილ აქტივებზე თანხის მიღება აისახება მოგება-ზარალში.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.8 გადახდილი ავანსები

საქონლის და მომსახურების მომწოდებელზე გადახდილი ავანსები აღიარდება გადახდილი თანხის ნომინალური ღირებულებით. გადახდილი ავანსების ნაშთი მცირდება საეჭვო თანხების მოცულობით, თუკი არსებობს ობიექტური მაჩვენებლები, რომ კომპანია ვერ მიიღებს გადახდილი ავანსის შესაბამის საქონელს ან მომსახურებას დებიტორისაგან.

მარაგებისთვის და სხვა მიმდინარე აქტივებისთვის და მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები, რომლებიც ბუნებით განეკუთვნებიან მოკლევადიან საოპერაციო ხარჯებს, აღიარდება როგორც მიმდინარე აქტივი.

სხვა დანარჩენი ავანსები, მაგ. გრძელვადიანი აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსი, აღიარდება როგორც გრძელვადიანი ავანსი.

გადახდილი ავანსები არ განიხილება, როგორც მონეტარული აქტივები და ამდენად უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გადახდილი ავანსების ნაშთები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ გადაანგარიშდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, არამედ წარდგენილია გადახდის მომენტისათვის არსებული კურსით.

2.9 ძირითადი საშუალებები

მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, სხვისთვის იჯარით გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის, რომელთა გამოყენება ნავარაუდებია ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში, საბალანსო უწყისში აღიარდება ძირითადი საშუალების სახით. ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. აქტივებზე შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან, საჭიროებისამებრ, ცალკეულ აქტივად აღიარდება მხოლოდ მაშინ, როცა მოსალოდნელია, რომ ჯგუფი ამ აქტივისგან მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების საიმედო შეფასება შესაძლებელია. რემონტის და მიმდინარე მომსახურების თანხები იმ საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალს მიეკუთვნება, რომლის განმავლობაშიც მათი გაწევა მოხდა. ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით არის გამოანგარიშებული თითოეული აქტივის შეფასებული სასარგებლო მოხმარების ვადისთვის. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივების გამოყენების დაწყებისთანავე. სასარგებლო მომსახურების გამოყენებული ვადები შემდეგია:

2.9 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსაურების ვადა
მიწა	განუსაზღვრელი
შენობები	30 წელი
წიგნები, აღჭურვილობა და ავეჯი	2-4-7 წელი

სასარგებლო მომსახურების ვადა, ნარჩენი ღირებულება და ცვეთის მეთოდი ყოველწლიურად გადაიხედება იმაში დასარწმუნებლად, რომ ისინი ძირითადი საშუალებებიდან მისაღები სავარაუდო ეკონომიკური სარგებელის მოდელს შეესაბამება. ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისთანავე ან როცა მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად მომავალი ეკონომიური სარგებელის მიღება ნავარაუდები აღარ არის. აქტივის ბალანსიდან ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი (გაანგარიშებულია როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსულობასა და აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის) გათვალისწინებულია იმ წლის შემოსავლების ანგარიშგებაში, როცა აქტივის ჩამოწერა მოხდა.

2.10 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი – ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივია. არამატერიალური აქტივი აღიარებულია ბალანსში თუ: (ა) მას სავარაუდოდ კომპანიისთვის მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია და (ბ) აქტივის ღირებულების გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები უნდა შეფასდეს თვითღირებულებას მინუს აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წრფივი მეთოდის გამოყენებით გამოიანგარიშება, აქტივის შეფასებული სასარგებლო მოხმარების ვადისთვის. კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის სისტემებს, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 10 წელი, და სასწავლო აპლიკაციები, რომელთა სასარგებლო მოხმარების ვადა განსაზღვრულია 3-დან 5 წლამდე.

განუსაზღვრელი სასარგებლო მოხმარების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები არ ამორტიზირდება. მათ უტარდებათ გაუფასურების ტესტი ყოველწლიურად და გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი აისახება მიმდინარე წლის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. ყოველწლიურად ხდება განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების შემოწმება, რათა შეფასდეს მათი სასარგებლო მოხმარების ვადა კვლავ განუსაზღვრელია თუ არა. თუ მოკვლევის შედეგად განისაზღვრა მათი მომსახურების ვადა, არამატერიალური აქტივი ამორტიზირდება შეფასებული სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.11 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივი უფასურდება, თუ მისი მიმდინარე საბალანსო ღირებულება აღემატება აღდგენად ღირებულებას და ასეთ შემთხვევაში აღიარდება როგორც ზარალი. აქტივი მცირდება ცვეთითა და გაუფასურებით, თუ კი გაუფასურების კრიტერიუმები კმაყოფილდება.

კომპანიის არაფინანსური აქტივების მიმდინარე საბალანსო ღირებულება, გარდა მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივებისა, განიხილება ანგარიშგების გაცემის პერიოდისთვის, რათა განისაზღვროს კმაყოფილდება თუ არა გაუფასურების კრიტერიუმები. გაუფასურების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ხდება აქტივის აღდგენადი ღირებულების შეფასება.

გაუფასურების ტესტირების მიზნებისთვის, ის აქტივები, რომლებზეც ტესტირების ჩატარება შეუძლებელია ინდივიდუალურად, ჯგუფდება უმცირეს ჯგუფებად, რომელთა იდენთიფიცირებაც შესაძლებელია, როგორც ფულის მაგენერირებელ ერთეულად განგრძობითი ოპერაციებიდან. გაუფასურების ზარალი აღიარდება, თითოეული ფულის მაგენერირებელი ობიექტის ჭრილში და ნაწილდება პირველ რიგში გუდვილის მიმდინარე საბალანსო ღირებულების შემცირებაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შემდეგ კი მცირდება აქტივების ჯგუფის მიმდინარე საბალანსო ღირებულება.

წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი ყოველი წლის ბოლოს ფასდება მის ცვლილებაზე. იმ შემთხვევაში თუ აქტივის აღდგენითი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებაა, გაუფასურების ზარალი შემცირდება (რევერსია). გაუფასურების ზარალის შემცირება (რევერსია) ხდება აქტივის იმ საბალანსო ღირებულებამდე, რომელიც მიღებული იქნებოდა ამავე აქტივზე ამორტიცაზია ან ცვეთა რომ დარიცხულიყო და გაუფასურება რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

2.12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოიქმნება, როცა მოწინააღმდეგე მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ასრულებს და ეს ვალდებულებები ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებითაა ასახული. სავაჭრო ვალდებულებები აღიარდება მიმდინარე ვალდებულებად, თუ მათი გადახდა მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სავაჭრო ვალდებულებები აღიარდება როგორც გრძელვადიანი ვალდებულება.

2.13 მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოიშობა მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარგადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორ კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება. წინასწარ გადახდილი თანხების 100% წარმოადგენს მოსწავლეებისგან მიღებულ ავანსებს.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.14 საგადასახადო ვალდებულებების და აქტივების აღრიცხვა

საგადასახადო ვალდებულება და აქტივი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო რაოდენობით, რადგან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, გადასახადის გადამხდელს აქვს კანონიერი უფლება დაფაროს საგადასახადო ვალდებულება ნეტო საგადასახადო აქტივით.

2.15 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხის ღირებულებით, გამოკლებული ნებისმიერი გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია სესხის მიღებასთან. ასეთი საპროცენტო განაკვეთების მქონე ვალდებულებები შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს, რომ დაფარვის პერიოდის განმავლობაში ნებისმიერი საპროცენტო ხარჯი მუდმივი განაკვეთის სახითაა ასახული ვალდებულების ბალანსზე , რომელიც შემდგომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება. ამ კონტექსტში "საპროცენტო ხარჯი" მოიცავს თავდაპირველი ტრანზაქციის ხარჯებს და გამოსყიდვისას გადასახდელ პრემიუმს, აგრეთვე დაუფარავ სესხზე ნებისმიერი საპროცენტო სარგებლის ან გადასახდელი კუპონის ვალდებულებას. გრძელვადიანი ვალის მიმდინარე ნაწილი არის ძირი თანხა, რომელიც გადახდას ექვემდებარება ფინანსური მდგომარეობის თარიღიდან ერთი წლის ვადაში.

2.16 სააქციო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობას განსაზღვრავს სს "გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში"-ს წესდება. კომპანიის წესდებაში ცვლილების (საწესდებო კაპიტალში, საკუთარ კაპიტალში და ა.შ. ცვლილების ჩათვლით) შეტანა მხოლოდ კომპანიის პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზეა შესაძლებელი. ავტორიზირებული კაპიტალი კომპანიის სააქციო კაპიტალში აღიარდება აქციონერების მიერ უშუალოდ შემოტანილი ღირებულებით. სააქციო კაპიტალის დამატებით გადახდილი ნაწილი მოიცავს ინვესტორების მიერ აქციის შესაძენად ნომინალურ ღირებულებაზე ზედმეტად გადახდილ თანხებს.

2.17 შემოსავლების აღიარება

ფასს 15-ის მიხედვით: საქონლის ან მომსახურების მიწოდების შედეგად წარმოშობილი შემოსავალი აღიარებულია შემოსავლებში შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გაცვლისას.

მოსწავლეებზე სასწავლო კურსების სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება განაწილებულია აკადემიური მონაკვეთის მიხედვით. შემოსავალი აღიარებულია ამ აკადემიური მონაკვეთების შესაბამისად. მოკლევადიანი კურსებისთვის, შემოსავალი აღიარდება კურსის ხანგრძლივობის პერიოდში.

შემოსავლები განისაზღვრება მიღებული კომპენსაციების ან მოთხოვნების სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული დაბრუნებები და სავაჭრო ფასდაკლებები.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.18 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და ასახულია მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აისახებიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, ვინაიდან ისინი დაკავშირებულნი არიან გარიგებებთან, რომლებიც, იგივე ან სხვა პერიოდით, ასევე ასახული არიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს საგადასახადო ორგანოებთან მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეყრდნობა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა საგადასახადო კოდექსში განახორციელა ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით მოხდა დაბეგვრის მომენტის გადატანა მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე და შესაბამისად, ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემული მოგება). ამ მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა ხდება 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა 15%-იანი მოგების გადასახადით.

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის მიხედვით მენეჯმენტისგან სააღრიცხვო შეფასებებს და მსჯელობების გამოყენებას მოითხოვს, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე აისახება. სააღრიცხვო შეფასებები კეთდება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით მენეჯმენტის იმ მოლოდინების გათვალისწინებით, რომელიც დასაბუთებული ჩანს არსებულ პირობებში. მსჯელობები, რომელიც განსაკუთრებულად აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომელმაც შესაძლოა აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს:

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადის განსაზღვრა მენეჯმენტის შეფასების საგანს წარმოადგენს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტმა უნდა გაითვალისწინოს მისი სავარაუდო გამოყენება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, რომელშიც აქტივი იმყოფებოდა. ნებისმერი ზემოთ ჩამოთვლილი პირობის ან შეფასების ცვლილებამ შესაძლოა მომავალი საამორტიზაციო განაკვეთების კორექტირება გამოიწვიოს.

3.2 ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება სამომავლო ვალდებულებებისთვის, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების საფუძველზე და სავარაუდოა, რომ კომპანიას მოეთხოვოს ამ ვალდებულებების შესრულება.

სხვა ანარიცხები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს, თანდართულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში როგორც პირობითი ვალდებულებები, რადგანაც, მათი არსებობა დადასტურდება მხოლოდ რომელიმე არასარწმუნო სამომავლო გარემოების დადგომისას, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს.

3.3 დაბეგვრა

კომპანია ექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობას და ამავე დროს, ეს კანონმდებლობა ხშირი ცვლილების საგანია. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება კომპანიის აღნიშნული ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოს მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენები საგადასახადო ვალდებულება განსხვავებული იყოს საგადასახადო ორგანოს მიერ შეფასებულისგან.

აღსანიშნავია, რომ წინა წლის შესადარისი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების ზოგიერთ ნაწილში შეიცვალა დეტალების უკეთ წარმოჩინების მიზნით

4 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-18	31-დეკ-17
ლარი	2,307,009	2,540,800
აშშ დოლარი	887,255	5,081
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**3,194,264**	**2,545,881**

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სს თიბისი ბანკში, რომელიც Fitch-ის მიერ შეფასებულია, როგორც B-ის მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი), BB-ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

5 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ცხრილში მოცემულია კომპანიის ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება და აკუმულირებული ცვეთა საანგარიშგებო პერიოდისთვის:

	მიწა	შენობა	აღჭურვილობა & ავეჯი	არამატერ. აქტივი	სულ
ისტორიული ღირებულება					
ნაშთი 31/12/2016	**942,381**	**8,212,521**	**2,208,625**	**95,174**	**11,458,701**
შეძენები	-	229,592	57,750	16,756	304,098
ჩამოწერა	-	(108,880)	(3,290)	(29,904)	(142,074)
ნაშთი 31/12/2017	**942,381**	**8,333,232**	**2,263,086**	**82,026**	**11,620,725**
შეძენები	-	3,288	181,876	2,751	187,915
ჩამოწერა	**-**	-	(212,204)	-	(212,204)
ნაშთი 31/12/2018	**942,381**	**8,336,520**	**2,232,758**	**84,777**	**11,596,436**

	მიწა	შენობა	აღჭურვილობა & ავეჯი	არამატერ. აქტივი	სულ
აკუმულირებული ცვეთა					
აკუმ. ცვეთა 31/12/2016	**-**	**(1,114,254)**	**(1,660,675)**	**(32,292)**	**(2,807,221)**
პერიოდის ცვეთის ხარჯი	-	(278,995)	(217,944)	(7,846)	(504,786)
რეალიზ. ძირით. საშ. ცვეთა	-	-	4,219	12,172	16,391
აკუმ. ცვეთა 31/12/2017	**-**	**(1,393,249)**	**(1,874,400)**	**(27,966)**	**(3,295,615)**
პერიოდის ცვეთის ხარჯი	-	(276,406)	(176,806)	(8,007)	(461,219)
რეალიზ. ძირით. საშ. ცვეთა	-	-	177,382	-	177,382
აკუმ. ცვეთა 31/12/2018	**-**	**(1,669,655)**	**(1,873,824)**	**(35,973)**	**(3,579,452)**
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31/12/2017 მდგომარეობით	**942,381**	**6,939,983**	**388,685**	**54,060**	**8,325,109**
31/12/2018 მდგომარეობით	**942,381**	**6,666,865**	**358,934**	**48,804**	**8,016,984**

კომპანიის ძირითადი საშუალებები, კერძოდ მიწა და შენობა გამოყენებულია სესხის უზრუნველყოფად.

6 სესხები

	31/12/2018	31/12/2017
გრძელვადიანი სესხები	2,818,830	4,058,128
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	1,379,027	1,230,417
სულ სესხები	**4,197,857**	**5,288,545**
საპროცენტო ვალდებულება	9,266	12,369
პერიოდის საპროცენტო ხარჯი	**378,903**	**525,547**

2011 წლის ოქტომბერში კომპანიამ გააფორმა სასესხო ხელშეკრულება სს თიბისი ბანკთან. სესხის მთლიანი ღირებულება შეადგენს 3,500,000 აშშ დოლარს, სესხის დაფარვის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 20 ოქტომბრამდე, წლიური სარგებლის ოდენობა შეადგენს 12%-ს. სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწით და შენობით. სესხი აღებულ იქნა კომპანიის სასწავლო შენობის მშენებლობის დასაფინანსებლად. მშენებლობა დასრულდა 2012 წელს. 2014 წლიდან ცვლილება შევიდა სასესხო ხელშეკრულებაში, რის მიხედვითაც, წლიური სარგებელი შეადგენს ფიქსირებულ წლიურ განაკვეთს დამატებული გარკვეული თარიღისთვის დაფიქსირებული აშშ დოლარის ლიბორის 6 თვიანი განაკვეთი, რაც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უდრის 7.96%-ს. 2018 წლის 31 აგვისტოს ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც წლიური სარგებლის ოდენობა შეადგენს 5.37%(წლიური საბაზისო განაკვეთი) დამატებული 27.07.2018 დაფიქსირებული აშშ დოლარის ლიბორის 6(ექვს) თვიანი განაკვეთი, დამრგვალებული მეასედის სიზუსტით.

თავდაპირველი აღიარებისას, სამართლიანი ღირებულება თითქმის უტოლდება საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირდება საბაზრო განაკვეთის შესაბამისად.

7 სააქციო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობას განსაზღვრავს სს "გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში"-ს წესდება. კომპანიის წესდებაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზე. კომპანიის სააქციო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,056,600 ლარს. სააქციო კაპიტალის დამატებით გადახდილი ნაწილი, ინვესტორების მიერ აქციის შესაძენად ნომინალურ ღირებულებაზე ზედმეტად გადახდილი ოდენობა, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 701,371 ლარს. არ არსებობს არანაირი იურიდიული, მარეგულირებელი ან სხვა შეზღუდვები კომპანიის აკუმულირებული მოგების გამოყენებასთან დაკავშირებით. ამჟამად, კომპანიას არ აქვს ჩამოყალიბებული კონკრეტული კაპიტალის რეზერვები. კომპანიის აქციები გამოსახულია ლარებში.

7 სააქციო კაპიტალი (გაგრძელება)

ცხრილში მოცემულია კაპიტალის გადანაწილების დეტალები:

აქციონერი	გამოშვებული აქციების რაოდენობა	ჩვეულებ. აქციები	სულ აქციები (გამოსახული ლარებში)
გიორგი ბაზღაძე	50	0.47%	5,000
ირაკლი გეგეშიძე	212	2.01%	21,200
გივი ზალდასტანიშვილი	50	0.47%	5,000
ავთანდილ წერეთელი	1,042	9.86%	104,200
მამუკა ხაზარაძე	50	0.47%	5,000
ლევან ჯიბუტი	82	0.78%	8,200
გოჩა მაცაბერიძე	261	2.47%	26,100
ახალი ქართული ფონდი	1,000	9.46%	100,000
შპს ჯი ემ თი სასტუმროები	206	1.95%	20,600
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	200	1.89%	20,000
სს ინჟმშენი	426	4.03%	42,600
სს საქართველოს ბანკი	1,033	9.78%	103,300
სს თიბისი ბანკი	1,530	14.48%	153,000
სს პროკრედიტ ბანკი	500	4.73%	50,000
სს თბილავიამშენი	542	5.13%	54,200
შპს ჯეონეთი	100	0.95%	10,000
შპს საქ. ტელეკომი	300	2.84%	30,000
სს ლისი ლეიქ დეველოპ.	2,982	28.22%	298,200
	10,566	**100%**	**1,056,600**

	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)	სულ
ნაშთი 31/12/2016 მდგომარეობით	**1,056,600**	**701,371**	**(534,557)**	**1,223,414**
სააქციო კაპიტალის გამოშვება	-	-	-	**-**
პერიოდის შემოსავალი	-	-	878,164	**878,164**
ნაშთი 31/12/2017 მდგომარეობით	**1,056,600**	**701,371**	**343,608**	**2,101,579**
სააქციო კაპიტალის გამოშვება	-	-	-	-
პერიოდის შემოსავალი	-	-	1,280,816	**1,280,816**
ნაშთი 31/12/2018 მდგომარეობით	**1,056,600**	**701,371**	**1,624,424**	**3,382,395**

8 შემოსავლები

კომპანია საქმიანობს განათლების სექტორში და მის ძირითად შემოსავლებს სწავლის ღირებულებისგან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს.

შემოსავლები გაწეული მომსახურებებიდან	31-დეკ-18	31-დეკ-17
შემოსავალი ძირითადი პროგრამებიდან	6,109,426	5,425,726
შემოსავალი არაძირითადი პროგრამებიდან	279,407	63,090
სულ შემოსავლები	**6,388,833**	**5,488,816**

რეალიზაციის გეოგრაფიული სეგმენტი მოიცავს საქართველოს ტერიტორიას, რაც რეალიზაციის 100% შეადგენს.

აკადემიური წელი მოიცავს პერიოდს სექტემბრიდან ივნისის ჩათვლით (10 თვე). კომპანიის შემოსავალი თანაბრად ნაწილდება ამ პერიოდზე.

9 თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	31-დეკ-18	31-დეკ-17
ხელფასის ხარჯი	3,298,419	2,986,023
თანამშრომელთა დაზღვევის ხარჯები	174,448	165,309
სულ ხარჯები	**3,472,867**	**3,151,332**

10 სხვა საოპერაციო ხარჯები	31-დეკ-18	31-დეკ-17
სკოლის არაძირითად პროგრამებთან დაკავშირებული ხარჯები	240,456	44,550
სკოლის ძირითად პროგრამებთან დაკავშირებული ხარჯები	198,213	154,519
შეკეთების და შენახვის ხარჯი	117,791	42,289
ტრანსპორტირების ხარჯი	99,953	77,823
კომუნალური გადასახადების ხარჯი	78,933	76,639
საგადასახადო ხარჯი	75,874	87,124
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	55,402	9,657
საკანცელარიო ხარჯი	25,195	20,846
რეკლამის ხარჯი	22,476	30,410
კომუნიკაციის ხარჯი	16,860	13,807
კვების ხარჯი	9,000	10,020
დაზღვევის ხარჯი	8,377	9,158
საბანკო ხარჯი	4,844	2,303
სხვა საოპერაციო ხარჯი	17,065	758
სულ ხარჯები	**970,439**	**579,903**

11 მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები, პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

11.1 სამართალწარმოება

სკოლა ჩართულია შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ სასამართლო დავაში, სადაც ასაჩივრებს დაკისრებულ საგადასახადო ვალდებულებას. აღნიშნული ვალდებულება, ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, მოიცავს 554,138 ლარს.

კომპანია მოღვაწეობს საგანმანათლებლო სექტორში და იყენებს მოქნილ საფასო პოლიტიკას საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდებისათვის. შემოსავლების სამსახური მიიჩნევს, რომ შინაარსობრივად ეს ოპერაცია ჰგავს სტიპენდიის გაცემას. ხოლო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ ქვეპუნქტის მიხედვით, მხოლოდ სახელმწიფო სტიპენდია არის განთავისუფლებული საშემოსავლო გადასახადისაგან.
2017 წლის 29 დეკემბრის საგადასახადო შემოწმების N006-1012 ანგარიშის მიხედვით, შემოსავლების სამსახურმა კომპანიას დააკისრა საგადასახადო ვალდებულება 554,138 ლარის ოდენობით, რაც მოიცავს 369,425 ლარის გადასახადის ძირს და 184,713 ლარის ჯარიმას.

კომპანიამ გაასაჩივრა შემოსავლების სამსახურის მიერ დაკისრებული საგადასახადო ვალდებულება ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში.

ცხრილში მოცემულია საგადასახადო ანარიცხებში ცვლილება 2015 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე:

აკუმ. საგადასახადო ანარიცხები 31.12.2015 მდგომარეობით	**138,755**
ცვლილება საგადასახადო ანარიცხებში 2016 წელს	124,133
აკუმ. საგადასახადო ანარიცხები 31.12.2016 მდგომარეობით	**262,888**
ცვლილება საგადასახადო ანარიცხებში 2017 წელს	102,377
აკუმ. საგადასახადო ანარიცხები 31.12.2017 მდგომარეობით	**365,265**
ცვლილება საგადასახადო ანარიცხებში 2018 წელს	**-**
აკუმ. საგადასახადო ანარიცხები 31.12.2018 მდგომარეობით	**365,265**

11.2 დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობას და ამავე დროს ეს კანონმდებლობა ხშირი ცვლილების საგანია. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება კომპანიის აღნიშნული ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის შეიძლება ეჭვქვეშ დაადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოს მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას, შედეგად შესაძლოა იქნას დამატებითი გდასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

11 მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები, პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები (გაგრძელება)

11.3 საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებამ შეიძლება გავლენა იქონიოს მომავალ ფულად ნაკადებზე ან ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე. კომპანიას არ აქვს ჩამოყალიბებული ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რამდენი უნდა იყოს კომპანიის საპროცენტო რისკის მოცულობა ფიქსირებულ და ცვალებად საპროცენტო განაკვეთებთან მიმართებაში. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ მიღებულ სესხს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი. (შენიშვნა 6).

11.4 სავალუტო რისკი

საკურსო სხვაობის რისკს წარმოქმნის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები. ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებებით, ვალუტების მიხედვით:

ნაშთები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	დენომინირებული აშშ დოლარი	სულ ლარებში
	გამოსახული ლარებში		
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,307,009	887,255	**3,194,264**
დებიტორული დავალიანება	97,618	2,007	**99,625**
სულ ფინანსური აქტივები	**2,404,627**	**889,262**	**3,293,889**
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულება	(17,409)	-	**(17,409)**
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	-	(1,379,027)	**(1,379,027)**
გრძელვადიანი სესხები	-	(2,818,830)	**(2,818,830)**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(17,409)**	**(4,197,857)**	**(4,215,266)**
წმინდა სავალუტო პოზიცია	**2,387,218**	**(3,308,595)**	**(921,377)**

11 მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები, პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები (გაგრძელება)

11.4 სავალუტო რისკი (გაგრძელება)

ნაშთები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	დენომინირებული აშშ დოლარი	სულ ლარებში
	გამოსახული ლარებში		
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,540,800	5,082	**2,545,881**
დებიტორული დავალიანება	52,532	13,972	**66,504**
სულ ფინანსური აქტივები	**2,593,332**	**19,054**	**2,612,385**
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულება	(11,402)	-	**(11,402)**
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	-	(1,614,551)	**(1,614,551)**
გრძელვადიანი სესხები	-	(3,673,994)	**(3,673,994)**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(11,402)**	**(5,288,545)**	**(5,299,947)**
წმინდა სავალუტო პოზიცია	**2,581,930**	**(5,269,491)**	**(2,687,561)**

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, კომპანია ძალიან მგრძნობიარეა აშშ დოლარის/ლარის გაცვლითი კურსის ცვალებადობაზე. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვალებადობა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაცვლითი კურსის ცვლილება:		გავლენა დაბეგვრამდე მოგებაზე:
გაცვლითი კურსის ცვლილება აშშ დოლარის მიმართ	20%	(661,719)
გაცვლითი კურსის ცვლილება აშშ დოლარის მიმართ	10%	(330,860)
გაცვლითი კურსის ცვლილება აშშ დოლარის მიმართ	20%	661,719
გაცვლითი კურსის ცვლილება აშშ დოლარის მიმართ	10%	330,860

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაცვლითი კურსის ცვლილება:		გავლენა დაბეგვრამდე მოგებაზე:
გაცვლითი კურსის ცვლილება აშშ დოლარის მიმართ	20%	(1,053,898)
გაცვლითი კურსის ცვლილება აშშ დოლარის მიმართ	10%	(526,949)
გაცვლითი კურსის ცვლილება აშშ დოლარის მიმართ	20%	1,053,898
გაცვლითი კურსის ცვლილება აშშ დოლარის მიმართ	10%	526,949

11 მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები, პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები (გაგრძელება)

11.5 ლიკვიდურობის რისკი

კომპანიისთვის ლიკვიდურობის რისკი შეიძლება განსაზღვრულ იქნეს როგორც აქტივების ფულად ქცევის შეუძლებლობა, როდესაც აუცილებელია ვალდებულების განსაზღვრულ ვადაში დაფარვა. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებში სხვაობაა. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია კომპანიის აქტივები და ვალდებულებები დაფარვის ვადების მიხედვით.

ნაშთები 31/12/2018	დაფარვის ვადა				
	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5-დან 10 წლამდე	10 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ეკვივალ.	3,194,264	-	-	-	3,194,264
დებიტორული დავალიანება	90,625	9,000	-	-	99,625
სულ ფინანსური აქტივები	**3,284,889**	**9,000**	**-**	**-**	**3,293,889**
სავაჭრო ვალდებულება	17,409	-	-	-	17,409
სესხის მიმდინარე ნაწილი	1,379,027	-	-	-	1,379,027
გრძელვადიანი სესხები	-	2,818,830	-	-	2,818,830
სულ ფინანსური ვალდებულება	**1,396,436**	**2,818,830**	**-**	**-**	**4,215,266**
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	**1,888,453**	**(921,377)**	**(921,377)**	**(921,377)**	

11 მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები, პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები (გაგრძელება)

11.5 ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ნაშთები 31/12/2017	დაფარვის ვადა				
	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5-დან 10 წლამდე	10 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ეკვივალ.	2,545,881	-	-	-	2,545,881
დებიტორული დავალიანება	56,145	9,000	-	1,359	66,504
სულ ფინ. აქტივები	**2,602,026**	**9,000**	**-**	**1,359**	**2,612,385**
სავაჭრო ვალდებულება	11,402	-	-	-	11,402
სესხის მიმდინარე ნაწილი	1,614,551	-	-	-	1,614,551
გრძელვადიანი სესხები	-	3,673,994	-	-	3,673,994
სულ ფინ. ვალდებულება	**1,625,953**	**3,673,994**	**-**	**-**	**5,299,947**
წმინდა ლიკვიდ. სხვაობა	**976,073**	**(2,688,921)**	**(2,688,921)**	**(2,687,562)**	

11.6 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან, სესხებიდან და მოთხოვნებიდან. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შეადგენს 3,194,264 ლარს, დებიტორული დავალიანება 99,625 ლარს, და გადახდილი ავანსები 55,036 ლარს, შესაბამისად, მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო 3,348,925 ლარი.

12 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და ნაშთები

საქმიანობის ნორმალურ პირობებში კომპანია ტრანზაქციებს ახორციელებს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან და ნაშთებთან დაკავშირებული დეტალები ქვემოთ მოცემულ ცხრილებშია წარმოდგენილი:

ტრანზაქციები და ნაშთები 2018	ხელფასისხარჯი	სხვა ხარჯი	გადახდ. სესხის ძირი 31/12/2018	საპროც. ვალდებ. 31/12/2018	საპროც. ხარჯი	გადახდ. პროცენტი
ძირ. მენეჯმ.	357,113	3,804	-	-	-	-
აქციონერები	-	-	1,637,774	9,574	378,903	382,634
სულ	**357,113**	**3,804**	**1,637,774**	**9,574**	**378,903**	**382,634**

ტრანზაქციები და ნაშთები 2017	ხელფასის ხარჯი	სხვა ხარჯი	გადახდ. სესხის ძირი 31/12/2017	საპროც. ვალდებ. 31/12/2017	საპროც. ხარჯი	გადახდ. პროცენტი
ძირ. მენეჯმ.	321,323	3,661	-	-	-	-
აქციონერები	-	-	2,051,913	12,349	525,546	540,045
სულ	**321,323**	**3,661**	**2,051,913**	**12,349**	**525,546**	**540,045**

13 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

კომპანიის მენეჯმენტი ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხს განიხილავს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

14 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭოში გაასაჩივრა შემოსავლების სამსახურის დავების საბჭოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, უცვლელად დატოვოს დაკისრებული საგადასახადო ვალდებულება, რაც 2018 წლის 1 მარტის, სასამართლო დავის თარიღის მდგომარეობით, შეადგენს 655,184 ლარს, მათ შორის ძირი შეადგენს 365,279 ლარს, ჯარიმა - 184,713 ლარს და დარიცხული საურავი - 105,192 ლარს. ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭომ 2019 წლის 17 იანვარს განიხილა საჩივარი და დაადგინა რომ საქმე დაუბრუნდეს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტს, რათა დამატებითი არგუმენტაცია წარმოადგინონ კომპანიის მიერ განხორციელებული მოქნილი საფასო პოლიტიკის სტიპენდიად დაკვალიფიცირებისთვის.

* * * * *